



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87212166

თარიღი:04/08/2021

განკარგულება №27

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1328 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე მუხლების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილის, 54-ე და 57-ე მუხლების, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ნუსხაში ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1328 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი. (ს/კ 50.04.41.219)
2. დამტკიცდეს- **ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1328 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის:**
 - საწყისი საპრივატიზებო საფასური-16000 (თექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.
 - „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 4800 (ოთხიათას რვაასი) ლარის ოდენობით.
 - აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -1600 ლარის ოდენობით.
 - საპრივატიზებო პირობა: პრივატიზებიდან ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს არანაკლებ 40000 (ორმოცი ათასი) ლარის ინვესტიცია
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.ქ. თელავი,

აღმაშენებლის ქ. N41)

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

